საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იმედაშვილი ლაშა კობას ძე

ლ. იმედაშვილი

იმედაშვილი ლაშა კობას ძე (დ. 17. III. 1960, თბილისი), პროზაიკოსი, სცენარისტი. დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1982). პირველი მოთხრობა 1978 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი – „პოეტური აღსარება" – 1986. 1985–2000 მუშაობდა ქართ. ლიტ-რის ინ-ტში, 1997–2000 – პრეზიდენტის პრესსამსახურში, 2004–06 – ტელეკომპანია „იმედში"; 2008-იდან კი – თბილ. საკრებულოში საგარეო ურთიერთობათა - განყ-ბის უფროსად. ი. ავტორია წიგნებისა: „ქართული ბესტსელერი" (1999), „იმიტაციური მწერლობა" (2000), „იესოს საქმე" (2001), „პატრიარქის ზაფხული"(2007) და სხვ.; სცენარებისა კინოფილმებისათვის: „გუშინ, დღეს, ხვალ" (1984), „ბარიერი"(1985), „კიდევ ერთი ქართული ისტორია"(2000), „მატარებელი"(2001), „სკამი" (2004) და სხვ.

ი-ის ნაწარმოებების ენა ლაკონიურია, სახიერი და დინამიკური, ძირითადი პრობლემა – ადამიანის პიროვნული თავისუფლება. მის შემოქმედებაში ასახვა პოვა ძველმა და ახალმა თბილისმა თავისი ბოჰემური ტიპაჟებით, სპეციფ. ენითა და ჩვეულებებით. ამ მხრივ გამოირჩევა რომანი „თბილისური ამბავი" (2012).

ი-ს მიღებული აქვს ლიტ. პრემიები: „საბა" (2007) – საუკეთესო პროზაული კრებულისათვის „სამი მკვლელობა ძველ თბილისში" და „ხერთვისი" (2007) – საუკეთესო *ლიტ.* ნაწარმოებისათვის პატრ. თემაზე „თვითნასწავლ პატრიოტთა თაობა"; საერთაშ. კინოფესტივალ „ოქროს არწივის" პრემია საუკეთესო სცენარისათვის (1995; ფილმი „მიზერერე"); გაეროს ბავშვთა ფონდის პრემია ბავშვთა უფლებების შესახებ საუკეთესო

ნაწარმოებისათვის (2000).

2013 დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.